



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
26 სექტემბერი, 2016

ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის მონაცემებით, 2016 წლის მე-2-ე კვარტალში მშპ-ს რეალურმა ზრდამ 3.0% შეადგინა. ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: სამთომომპოვებითი მრეწველობა (+24.1%), მშენებლობა (+12.8%), სასტუმროები და რესტორნები (+10.8%), საფინანსო საქმიანობა (+9.2%) და დამამუშავებელი მრეწველობა (+8.3%). კლება დაფიქსირდა ტრანსპორტში (-5.8%) და ვაჭრობაში (-2.8%).



საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2016 წლის აგვისტოში იმპორტი წლიურად 9.5%-ით გაიზარდა და 684 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ექსპორტმა 190 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (-0.2% წ/წ). შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 13.7%-ით გაიზარდა და 493 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ძირითადი საექსპორტო საქონელიდან გაიზარდა სპილენძის (+45.9% წ/წ), ავტომობილების (+18.1% წ/წ) და ღვინის (+33.5% წ/წ) ექსპორტი, ხოლო შემცირდა ფეროშენადნოები (-40.6% წ/წ) და თხილი (-31.6% წ/წ).

2016 წლის აგვისტოში, 5 უმსხვილესი საიმპორტო საქონელი იყო: ნავთობი (-30.5% წ/წ), მსუბუქი ავტომობილები (+14.3% წ/წ), სპილენძი (+76.0%), მედიკამენტები (-2.2%) და ტელეფონები (+37.5%).

სავალუტო ინტერვენცია: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, წინა კვირაში გამართულ სავალუტო აუქციონზე 20 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. სავალუტო ინტერვენცია ეროვნულმა ბანკმა წელს 19-ჯერ განახორციელა (გაყიდა 100 მლნ აშშ დოლარი და შეისყიდა 278 მლნ აშშ დოლარი). ლარი აშშ დოლარის მიმართ წინა კვირასთან შედარებით 0.1%-ით გაუფასურდა, ხოლო წლის დასაწყისიდან გამყარდა 3.3%-ით.

საქონლის ექსპორტი, 8M16

საქონლის იმპორტი, 8M16



წყარო: საქსტატი

შენიშვნა: მედიკამენტების იმპორტი მოცემულია C-კატეგორიის იმპორტის გამორიცხვით

ეკონომიკური ინდიკატორები

	7M16	2015	2014
მშპ (%-ლი ცვლილება)	2.7%	2.8%	4.6%
მშპ ერთ სულზე (ppp)	...	9,630	9,209
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	3,759	3,676
მოსახლეობა (მლნ)	3.7 ⁽¹⁾	3.7 ⁽¹⁾	4.5
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	0.9% ⁽²⁾	4.9%	2.0%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.9	2.5	2.7
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	13.1% ⁽³⁾	11.8%	10.6%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	3.8%	3.0%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	41.5%	35.5%


წყარო: ოფიციალური მონაცემები

(1) მოსახლეობის აღწერის წინასწარი შედეგები

(2) 2016 წლის 8 თვის მდგომარეობით

(3) 2016 წლის პირველი კვარტალის მდგომარეობით

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში, 2016

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №24 (რეგიონის ლიდერი)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №23 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №66 (გაუმჯობესებული ტენდენცია)

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POORS BB- სტაბილური დადასტურებული ნოემბერი-2015	Moody's INVESTORS SERVICE Ba3 სტაბილური დადასტურებული მარტი-2016	FitchRatings BB- სტაბილური დადასტურებული აპრილი-2016
---	---	---

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 950 მლნ ლარის (409.8 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.

სადეპოზიტო სერტიფიკატები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 182-დღიანი, 20 მლნ ლარის (8.6 მლნ აშშ დოლარი) ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები გაყიდა. საპროცენტო განაკვეთმა საშუალოდ 6.58% შეადგინა (1 საბაზისო პუნქტით მეტი წინა განთავსებასთან შედარებით).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2016 წლის 21 სექტემბერს 5-წლიანი 10 მლნ ლარის (4.3 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7.555% შეადგინა.


სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: სტბ

შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემები


მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: სტბ


შენიშვნა: ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2016 წლის 26 ოქტომბერს შედგება.

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სტბ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სტბ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ევროობლიგაციები (BGEOLN) დაიხურა 5.3%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 103.9 (+0.6% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროობლიგაციებით (GEOROG 05/17)-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით - 101.9 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 3.9%-იანი შემოსავლიანობით და (GEOROG 04/21)-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 106.1 (+0.5% წინა კვირასთან შედარებით, 5.2%-იანი შემოსავლიანობით, ხოლო საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაციები (GRAIL) ივაჭრებოდა 113.7 ფასად (+0.6% წინა კვირასთან შედარებით), 5.0%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაციები (GEORG) დაიხურა ფასით - 112.1 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 3.9%-იანი შემოსავლიანობით.

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა %)




	ადგილობრივი ობლიგაციები					ევროობლიგაციები				
	Nikora 03/18	GWP 11/17	M2RE 03/17	EVEX 05/17	GLC 09/17	GEOROG 04/21	GEOROG 05/17	BGEOLN 07/23	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	5	6*	20	15	10	250	250	350	500	500
გამოშვების თარიღი	03/16	12/15	03/15	05/15	09/14	აპრ-2016	მაი-2012	ივლ-2016	აპრ-2011	ივლ-2012
დაფარვის თარიღი	03/18	12/17	03/17	05/17	09/17	აპრ-2021	მაი-2017	ივლ-2023	აპრ-2021	ივლ-2022
კუპონი, %	11.00	14.00**	9.50	9.50	8.75	6.750	6.875	6.000	6.875	7.750
Fitch/S&P/ Moody's	-/-	BB-/-	-/-	-/-	-/-	BB-/B+/-	BB-/B+/-	BB-/B1	BB-/BB- /Ba3	BB-/B-/-
საშუალო ფასი, აშშ \$	102.73	100.0*	101.9	102.45	101.94	106.1	101.9	103.9	112.1	113.7
საშუალო პროცენტი %	9.0	15.0	5.75	5.75	6.75	5.2	3.8	5.3	3.9	5.0
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	405.4	283.2	403.6	270.3	369.4

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 11/17 მოცემულია ლარში

** მცურავი კურსი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7.5%)

საქართველოს ევროობლიგაციების ბაზარი



აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგი (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Ba3	112.1	3.9	270.3
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BB+/-/Ba1	102.3	4.2	297.4
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/-	121.1	0.6	-236.3
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB/BB/Ba2	107.7	2.3	243.6
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BB+/BB+/Ba1	115.1	2.6	160.4
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	120.5	2.5	138.3
რუსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BB+/Ba1	107.7	2.6	156.2
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BBB-/NR/Baa3	107.2	3.7	265.2

წყარო: ბლუმბერგი



აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 29.49 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (-0.44% წინა კვირასთან შედარებით და +5.66% გასულ თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 300 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 29.23 – 30.65 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 55 ათასი აქცია შეადგინა, რაც გასული თვის მონაცემზე ნაკლებია. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან მოიმატა 0.46%-ით ხოლო წინა თვესთან დაიკლო 0.27%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.76% შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 11.75 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (+4.44% წინა კვირასთან შედარებით და +5.62% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 1,300 ათასს გადააჭარბა, GBP 11.00 – 11.75 დიაპაზონში.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 3.18 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (+3.50% წინა კვირასთან შედარებით და +15.45% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 69 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 3.04 – 3.15 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 28 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.6% შეადგინა.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე საქართველოს ბანკის აქციები ივაჭრებოდა 37.0 ლარად (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით). შედეგად გალტ ენდ თაგარტის ინდექსმა არ შეცვლილა და 841.5-ზე შენარჩუნდა.

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
BGEO*	BGEO	37.49	1,481	-0.3%	23.0%	29.8%	15.9%	33.3%
TBC	TBC	15.24	749	8.3%	N/A	N/A	N/A	N/A
Halyk Bank	HSBK	6.30	1,732	2.8%	61.5%	38.5%	-25.9%	1.9%
KKB	KKB	1.59	634	0.0%	0.0%	59.0%	-58.2%	-45.0%
VTB Bank	VTBR	2.28	14,769	12.0%	13.7%	9.0%	-0.9%	14.0%
Vozrozhde nie Bank	VZRZ	10.70	254	-0.2%	9.1%	42.3%	45.1%	17.7%
Sberbank	SBER	9.59	51,776	2.9%	17.2%	46.6%	136.9%	98.0%

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: *BGEO ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)


ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
GHG*	GHG	4.12	542	22.8%	7.5%	77.1%	N/A	N/A
Mouwasat	MOUWASAT	32.66	1,633	-2.6%	-4.5%	0.8%	-0.7%	-1.6%
Fortis	FORH	2.62	1,213	1.4%	14.1%	-3.4%	49.0%	-0.1%
Raffles	RFMD	1.12	1,950	0.6%	0.6%	1.8%	14.0%	5.1%
IHH	IHH	1.56	12,831	-3.8%	-1.1%	-3.9%	13.2%	15.7%
Bangkok Chain	BCH	0.35	864	3.3%	-1.3%	16.4%	44.1%	82.9%
Netcare	NTC	2.33	3,412	0.2%	23.2%	3.1%	-29.0%	-13.0%

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: *GHG ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)


BGEO ჯგუფი (BGEO LN)



— მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)
— ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



— მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)
— ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



— მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)
— ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვნებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge